დამტკიცებულია
შპს უნივერსიტეტი გეომედის აკადემიური
საბჭოს სხდომაზე: ოქმი №11, 29.10.2026

რექტორი, პროფესორ _____ მარინა ფირცხალავა

ბიბლიოთეკის რესურსებისა და სერვისების განვითარებისა და განახლების მექანიზმები

ბიბლიოთეკის მიზანია საგანმანათლებლო პროგრამების, უწყვეტი სასწავლო და კვლევითი პროცესების მხარდაჭერა, საჭირო რესურსებითა და მომსახურებით უზრუნველყოფა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების, აკადემიური/მოწვეული პერსონალის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული მიზნის მისაღწევად:

ა) ბიბლიოთეკა თანამშრომლობს უნივერსიტეტის სტრუქტურულ ერთეულებთან, ფაკულტეტებთან, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან. შედეგად, ბიბლიოთეკა იღებს ინფორმაციას სასწავლო პროცესისთვის საჭირო რესურსების განახლების შესახებ (აკადემიური პერსონალის მიერ ბეჭდური და ციფრული რესურსების მოთხოვნის ფორმა - დანართი №1) რაც შემდეგ ფიქსირდება მოთხოვნილი ბეჭდური და ციფრული რესურსების რეგისტრაციის ჟურნალში (დანართი №2).

ბ) არსებული საგანმანათლებლო პროგრამის განახლების ან ახალ საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობისას პროგრამის ხელმძღვანელი/აკადემიური/მოწვეული პერსონალი წარუდგენს ბიბლიოთეკას სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის ჩამონათვალს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს არსებული ფონდების გადამოწმებას და საჭიროების შემთხვევაში, ახდენს მოთხოვნილი ლიტერატურის შესყიდვის ორგანიზებას.

გ) ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ მუდმივად ხდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ინფორმირება განახლებული რესურსების შესახებ.

დ) მუდმივად მიმდინარეობს არსებულ რესურსებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობის ზედამხედველობა.

ე) ბიბლიოთეკა თანამშრომლობს სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკასთან ურთიერთგაცვლითი მომსახურებით, ბიბლიოთეკათშორისი აბონემენტით.

სერვისები და მათი განვითარება

ა) სტუდენტებისა და პერსონალისთვის ხელმისაწვდომია საორიენტაციო შეხვედრები და კონსულტაციები საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების გამოყენების შესახებ. საჭიროების და მოთხოვნის შემთხვევაში, უტარდებათ ინდივიდუალური კონსულტაცია.

ბ) ხელმისაწვდომია საინფორმაციო ხასიათის და საბიბლიოთეკო სერვისების გამოყენების ინსტრუქციები, როგორც ბიბლიოთეკაში, ასევე უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე. საჭიროებისას, ხდება აღნიშნული მასალების ელ-ფოსტაზე დაგზავნაც.

გ) საინფორმაციო რესურსები (წიგნები, ატლასები და ა.შ.) ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

დ) შეუზღუდავია და გამართული წვდომა საბიბლიოთეკო ინფრასტრუქტურასთან, საერთაშორისო სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებთან, ელექტრონულ კატალოგსა და ელექტრონულ ბიბლიოთეკასთან. ელექტრონული ბიბლიოთეკის საშუალებით ხელმისაწვდომია ელექტრონული წიგნები, საიდანაც შეზღუდულია ჩამოტვირთვა და დაბეჭდვა, რაც გამორიცხავს საავტორო უფლებების დარღვევას.

ე) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ პერიოდულად ტარდება მომხმარებლების აზრის კვლევა ბიბლიოთეკის სერვისების შეფასების მიზნით. გამოკითხვების ანალიზის საფუძველზე ხდება გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირება და შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა.

ვ) ბიბლიოთეკაში არსებული ტექნიკური რესურსების მონიტორინგში ჩართულია ბიბლიოთეკის პერსონალიც. შეფერხების აღმოჩენის შემთხვევაში, ბიბლიოთეკა მიმართავს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს არსებული შეფერხების აღმოსაფხვრელად. საჭიროების შემთხვევაში ხდება ტექნიკის განახლება და შესყიდვა.

დანართი №1

აკადემიური პერსონალის მიერ ბეჭდური და ციფრული რესურსების

მოთხოვნის ფორმა

სახელი/გვარი, სტატუსი

_____

ფაკულტეტი

№	რესურსის დასახელება	ავტორ(ებ)ი	გამოცემის წელი

ხელმოწერა: თარიღი:

დანართი №2

მოთხოვნილი ბეჭდური და ციფრული რესურსების რეგისტრაციის ჟურნალი

№	სახელი, გვარი, სტატუსი	ფაკულტეტი	სპეციალობა	რესურსის დასახელება (წიგნი, ჟურნალი, ციფრული მატარებელი)	ავტორ(ებ)ი	შენიშვნა/ დასაბუთება	თარიღი
1	2	3	4	5	6	7	8